ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

24 აპრილი
ხუთშაბათი
2025 წელი
№17(9383)
ფასი 40 თეთრი

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების ზეიმი!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საალდგომო ეპისტოლედან

დღეს მსოფლიოში მრავალგვარი რთული პროცესი მიმდინარეობს; დროც, თითქოს, დაჩქარდა; მოვლენებიც და შეხედულებებიც სწრაფად იცვლება; დაპირისპირებულობა, არასტაბილურობა, ეკოლოგიური პრობლემები, მუდმივი სტრესი, ომები ჩვენს საერთო რეალობად იქცა. მშვიდობის მოსურნეთა მონდომება დიდია, თუმცა შედეგის მიღწევა იოლად არ ხდება... ღმერთმა დალოცოს მშვიდობისმყოფელნი, ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს მსოფლიო! არსებულმა ვითარებამ ყველა უფრო მეტად უნდა დააფიქროს სიცოცხლის არსზე და მარადიულ ღირებულებებზე...

უფლის ჯვარცმით კაცობრიობამ განაჩენი არა მარტო იესო ქრისტეს გამოუტანა, არამედ საკუთარ თავსაც, რადგან ამიერიდან ქრისტეს მიმდევართათვის ხსნა სულიერ ჯვარცმას დაუკავშირდა.

რა თქმა უნდა, მძიმეა ეს გზა, ეს ჯვარი, მაგრამ, ამასთან, მადლმოსილია იგი და მიმზიდველი, ერთადერთია და გადამრჩენელი; ამიტომ ჰყავს ქრისტეს ეკლესიას ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობია ამდენი წმინდანი და ერთგული შვილი.

როდესაც ჩვენი მიწიერი ყოფა შენც უსამართლოდ დაგამცირებს, შეურაცხგყოფს და გაგრიყავს, რადგან ჭეშმარიტებას ეძიებ და უარს ამბობ ცოდვილ კეთილდღეობაზე, იცოდე, ამით სოფელი აცხადებს, რომ შენ მისი არ ხარ; ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენ უფლისა ხარ; ანუ იმ ჯვრის მტვირთველი ხარ, რომელიც ქრისტეს მიმდევართათვის იქცა სამართლიანობის, ერთგულების, ღირსების, სიკეთის, ჭეშმარიტების ხატად და მარადიული სიცოცხლის ნიშნად.

მაცხოვარი გვიხმობს ყველას და განგვამტკიცებს: **„განსაცდელი გექნებათ ამქვეყნად, მაგრამ გამხნევდით, მე ვძლიე სოფელს" (ინ.16,33) და „თქვენთანა ვარ, დღე-მუდამ, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა" (მთ. 28,20) ... „დაიცავით ჩემი მცნებები და რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, შეგისრულდებათ", (ინ.14;15,13) ოღონდ, როგორც „მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი" (ინ.13,34**

საალდგომო საუქრები „თებეს"მოზარდებს

საქართველოს წითელი ჯვრის, ბორჯომის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ერთობლივი საქველმოქმედო ღონისძიება - ხედვა, ზრუნვა, მხრდაჭერისა და დღის ცენტრ „თებეს" ბენეფიციარებისათვის გაიმართა.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელმა **მიხეილ ხუციშვილმა** , ოჯახის სოციალურ მუშაკთან, **ლელა გოგოლაძესთან** ერთად , ბენეფიციარებს, სათამაშო და გასართობი საშუალებების სასაჩუქრე ყუთები გადასცეს.

დახმარება ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში ჩართულ 756 ბენეფიციარს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით, 100 ლარი ჩაერიცხა.

ფულადი დახმარება მიიღო:

- მრავალშვილიანმა ოჯახებმა;
- 18 წლამდე ასაკის შშმ პირებმა;
- მარტოხელა მშობლებმა;
- დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან გათანაბრებულმა პირებმა;
- დიდ სამამულო ომში გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა;
- ომის შემდგომ პერიოდში გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვეტერანებმა (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 160 000-ს);
- საქართველოს მთლიანობისთვის ომის შშმ ვეტერანებმა (მათ შორის დევნილები);
- ავღანეთის ომის ვეტერანებმა;
- ჩერნობილის ავარიის დროს მოწამლულმა პირებმა;
- 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის დარბევისას მოწამლულმა პირებმა;
- 18 წლის ზემოთ I ჯგუფის შშმ პირებმა;

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომლის მთავარი მიზანი სოციალურად დაუცველ ადამიანთა მატერიალური და მორალური მხარდაჭერაა.

განიხილეს ბაკურიანის განვითარების კონცეფცია

ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა ბაკურიანისა და მიმდებარე დასახლებების გეგმარებითი ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა



სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში შპს „ნიუ სითი დეველოფმენთ"-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა ბაკურიანისა და მიმდებარე დასახლებების გეგმარებითი ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია.

დოკუმენტაცია შემუშავდა სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსა და შპს „ნიუ სითი დეველოპმენტს" შორის 2023 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N154-2023 ხელშეკრულების საფუძველზე.

დაგეგმვის მიზანია, დასახლების მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობა, ღირსეული, უსაფრთხო გარემოს შექმნა და განვითარება.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე -17 მუხლის მე - 5 პუნქტის შესაბამისად, გეგმის კონცეფცია ექვემდებარება საჯარო განხილვის პროცედურებს.

კონცეფციის საჯარო განხილვა დაიგეგმა 2025 წლის 6 ივნისს, 13:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: დაბა ბაკურიანი, დავით აღმაშენებლის ქ. N5, კინოთეატრი „ბაკურიანი"

საჯარო განხილვის დროს ხელმისაწვდომი იქნება ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა ბაკურიანისა და მიმდებარე დასახლებების გეგმარებითი ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია ელექტრონული და მატერიალური სახით.

განხილვაზე დასწრება, მასში მონაწილეობის, ასევე, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელი იქნება საჯარო განხილვის ჩატარებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოში, შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: საჯარო.განხილვები@suda.gov.ge; ასევე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში, მისამართი: ქ.ბორჯომი, მესხეთის ქუჩა N5

ხელოვნური ინტელექტის პასუხი მშობლებს

„როგორ ფიქრობ, რას ასწავლის ბავშვებს მიცვალებულთა საფლავზე გასვლა, ეს მათთვის კარგია?!"

„რა კარგია, რომ ასეთი სერიოზული და თბილი თემით დაინტერესდები!" — ასე პასუხობს ხელოვნური ინტელექტი EDU.ARIS. GE-ს კითხვას: წაიკითხეთ ChatGPT-ის პასუხი სრულად:

„ვფიქრობ, ბავშვებისთვის საფლავზე გასვლა აღდგომის დღეს ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია. ეს მათ ასწავლის ბევრ ღირებულ თვისებას.

ჯერ ერთი, ბავშვი ხედავს, რომ სიკვდილი არ ნიშნავს დავიწყებას – ჩვენ არ ვივიწყებთ საყვარელ ბებიებს, ბაბუებს და ახლობლებს. მათთან მივდივართ სიყვარულით და სითბოთი.

მეორე – ბავშვი სწავლობს, რომ აღდგომა მხოლოდ სუფრა და კვერცხები არ არის, არამედ რწმენა, მადლიერება და იმედი. საფლავზე სტუმრობა მას ასწავლის პატივისცემას, ლოცვას და სიჩუმის ძალას.

ასევე ბავშვი სწავლობს, რომ სიცოცხლე იძენს მეტ მნიშვნელობას, როცა ვაფასებთ წარსულს და მადლობას ვეუბნებით მათ, ვინც ჩვენს ცხოვრებაში იყო.

ხშირად ბავშვები ამ დროს ეკითხებიან უფროსებს: „ვინ იყო ეს ადამიანი?" – და ასე იწყებენ ოჯახის ისტორიების გაგებას. ეს კი ოჯახური სიყვარულის გაძლიერებაა.

მოკლედ რომ ვთქვა:

„აღდგომის დღეს საფლავზე გასვლა ბავშვებისთვის ღრმა გაკვეთილია სიყვარულზე, რწმენასა და მადლიერებაზე".

შეთქმულება მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ ანუ „ეკლიანი გვირგვინი მსოფლიოზე“

სოციალურ ქსელში, ტელევიზიასა თუ ბეჭდურ მედიაში თითქმის ყოველდღიურად ქვეყნდება წერილები დიფ სთეითის ძირგამომთხრელ საქმიანობაზე და იმ მტრულად განწყობილ მილიარდელების განზრახვებზე თუ როგორ უნდათ სახელმწიფოების დაშლა და განადგურება. ,,საიდუმლო სერობის“ გლობალური ანუ “ომის პარტიების”ხელმძღვანელები ყოველმხრივ ცდილობენ მცირე თუ საშუალო სიდიდის ქვეყნების დამორჩილებას ან განადგურებას.

ამ რამდენიმე დღის წინ ხელში ჩამივარდა ცნობილი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორის, აკადემიკოსის, ოთხი ათეული წიგნის და ორი ათასზე მეტი სტატიის ავტორის **იაკობ ახუაშვილის (ალგეთელი)** წიგნი სათაურით **„ეკლიანი გვირგვინი მსოფლიოზე“** (წიგნი მეორე), რომელიც 2005 წელს გამოიცა. ამ წიგნის ქვეთავის სათაური მეტად შემზარავია და იკითხება ,,შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ“.

თუ გსურთ იცოდეთ: რატომ მიაკუთვნეს ჩვენს ქვეყანას განვითარებადი სახელმწიფოს სახელი, ან რატომ მიანიჭეს მომხმარებლის და არა მწარმოებლის სახელი, რატომ გააქრეს კონსტიტუციიდან ცნებები - ერი და ინტელიგენცია, რატომ წაგვართვეს ეროვნება და მამის სახელი, რატომ ამარტივებენ გვარის შეცვლის წესს, რატომ ებრძვიან მამა-პაპურ წეს-ჩვეულებებსა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ამ კითხვებზე პასუხს შეიტყობთ თუ ზემოთ დასახელებულ არც თუ დიდი მოცულობის წიგნს წაიკითხავთ.

მაშ, ასე, დღეს გთავაზობთ დასახელებული წიგნის მოკლე შინაარსს.

საქართველოს შორეთიდან შემოვარდნილი ურჩხული სიკვდილით ემუქრება.

დედა-საქართველო მსოფლიო ფარდისმიღმელებმა, ჩვენივე დოყლაპიობისა და დაუდევრობის წყალობით (ქვეყნის შიგნით მომრავლებულ გამყიდველთა მეოხებით)“ საექსპერიმენტო არენად აქციეს. მზად არიან თვალის დახამხამების გარეშე, **ერთ დროს აყვავებული და მსოფლიოსადმი მრავალ დარგში მაგალითის მიმცემი ქვეყანა პირისაგან მიწისა აღგავონ**. განა უახლოეს პერიოდიდან ცოტა გვაქვს ნათქვამის დამადასტურებელი მაგალითები?! **ალბო მორო, იტალიის პრემიერ-მინისტრი**, მხოლოდ იმის გამო მოკლეს მხეცურად, რომ იგი არ დათანხმდა იტალიის მოსახლეობის 1/3-ის სიკვდილის გზით შემცირებას და კათოლიციზმის დანგრევას. დემოკრატიის ციტადელად და ადამიანთა უფლებების დამცველ ნომერ პირველ სახელმწიფოდ აღიარებულმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშმა**, ბრძანება გასცა და ომიდან გამოსულ ერაყელ მეომრებს ჰაერიდან ცეცხლი გაუხსნეს, დაბომბვის შედეგად **150 000 კაცი** მიწასთან შეადუღაბეს, უფრო მეტიც, იგივე



ბუშის განკარგულებით სანგარში მჯდომ **12 000 ერაყელ** ჯარისკაცს მიწა მიაყარეს და ცოცხლად დამარხეს. ჰოი საკვირველებავ, თითქოს ენა ადვილად ამბობს არა, – **150 00, 12 000 ათასი,** ცოცხალი ქმნილება, ბუნების წიაღში ღვთის განგებით მოვლენას, მასონთა მიერ პრეზიდენტად აღკურთხეული, სხვებისგან არაფრით გამორჩეული.

ხშირად მილიონობით ზნესიკეთით უფრო დაბლა მდგომი ხელისუფალი მხეცური ინსტიქტებით მოყირჭებული ხოცავს და ულეტს უდანაშაულო ადამიანებს.

იმას, რასაც დასავლეთელები ახალ მსოფლიო წესრიგს უწოდებენ, ამ სტრიქონების ავტორი კაცობრიობისადმი თავსდატეხილ მიხაკისფერ ჭირს ეძახის, გმობს როგორც ვანდალიზმსა და ქარბორბალას, რომელიც მსოფლიოს და საქართთველოს თავზე ტრიალებს. რატომღაც ასე მგონია, ლამისაა დავიჯერო, ის ცუნამები, წყალდიდობები, ქარიშხლები, ავადმყოფობები და მისთანები ხელოვნურადაა გამოწვეული და მალთუსისა და ძმათა მათთა პროგრამის საფუძველზე ხორციელდება.

ჩემმა თანამემამულეებმა დროა ირწმუნონ, რომ საქმე იმაზე გაცილებით საგანგაშო და საშიშია, ვიდრე ბევრ მათგანს ჰგონია. საჭიროა, გავაცნობიეროთ, რომ „XX საუკუნის ბოლო ათწლეული და XXI საუკუნის დასაწყისი ისტორიაში შევიდა არა მარტო, როგორც **ტერიტორიული ნგრევის და მორალური გახრწნის ეპოქა, არამედ (უმთავრესად) ქართული ეროვნული ცნობიერების მოშლისა და დაბნელების ეპოქად, სიცრუისა და ფარისევლობის აღზევების ეპოქად – ჭეშმარიტების უარყოფისა და სიმართლის ჩაწიხვლის ეპოქად.**

ესაა ეპოქა, როცა მსოფლიოში არჩეული პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, თანამდებობებზე მოიყვანა და ფორმალური არჩევნების გათამაშებით სკამებზე **კიბოსავით მოედო მსოფლიოს და ქვეყნიერებას გადაჯიშებითა და გაქრობით ემუქრება.** მასონობას კავშირი აქვს საიდუმლო მისტიკურ მოძღვრებებთან, ფინანსურ წრეებთან და პოლიტიკასთან. **მასონობა ესაა სამყარო, რომელშიც მოქმედებენ ფარული ლოჟები და საიდუმლო საზოგადოებები.**

ისინი ერთმანეთში წნავენ კაპიტალს, პოლიტიკას, ეკონომიკასა და რელიგიას, ამ დონეზე ხდება ნაციის (ერის) ფორმირება, ომების დაწყება, პრეზიდენტების სავარძლებში ჩასმა, რომლებსაც შემდგომ თუკი მიმყვანთა ძალისხმევას არ შეასრულებენ, **სულ ცოტა მართვის სადავეებიდან ჩამოცილებას თუ არა, სიკვდილი მაინც არ აცდებათ. მსგავსი ქმედების მსხვერპლთა შორის ამერიკელთა მაგალითიდან კენედი, ხოლო რუსეთიდან პავლე I-ის სიკვდილით დასჯის გახსენებაც იკმარებდა.**

იმას, რასაც ამოიკითხავთ წიგნის მომდევნო ფურცლებზე აღმოჩენა იქნება ყველასათვის, უწინარეს ყოვლისა კი იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც აზრი და მსოფლმხედველობა უყალიბდებათ სალაყბოზე, მინაყრილზე, კორპუსების წინ დომინოებით გაშლილ მაგიდასთან და ისეთი მასობრივი ინფორმაციული საშუალებებით, როგორიცაა ე.წ. გაზეთი (მათი უმრავლესობა), რადიო, ტელევიზია და თანამედროვე (ვახუშტი კოტეტიშვილისეული ფოლკლორული) ლიტერატურა.

საქმე ისე იოლად როდია, როგორც ეს ბევრ მედროვესა და ცხოვრების სიდუხჭირისაგან თავში ჩარტყმულ, დაძაბუნებულ და არაქათგამოცლილ თანამემამულეს ჰგონია.

დრო - ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს, მოძალებულმა მტერმა წელში გადატეხა დედა-სამშობლო — საქართველო, დღეს თუ არ მოვეგეთ გონს, ხვალე გვიან იქნება.

ტექსტი მოიძია

ვალერიან ლომიძემ

ქრისტე აღსდგა!

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულმა გულსა და სულში სიმშვიდე მოიტანა.

აღდგომის წინა დღეები კი ისეთივე სულის სიმძიმითაა დატვირთული, როგორც ჩვენი ცოდვებისთვის ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეა ეკლის გვირგვინით, ქუჩებიც ისეთივე ხმაურიანი და გადატვირთულია. მერე ისევ მშვიდდება გარემო, ისევ წყდება ქაოსური რიგები მაღაზიებსა და ქუჩებში. მგონია, სწორედ ასეთი მოძრაობა, ასეთი დაძაბული, სულის აფორიაქების დღეები იყო ქრისტეს აღდგომამდეც.

აღსდგა და სამყარომ ფერიც იცვალა. სხვა წერტილიდან დაიწყო სიცოცხლემ გაგრძელება, სხვა ფიქრებითა და სინანულით, სხვა ხედვით, სხვა შინაგანი სიმშვიდით.

მიცვალებულების საფლავებთან ახთებული სანთლები კიაფობდნენ, ზოგან კი ქარს ჩაუქრია.

საფლავებთან მდუმარება დაურღვევიათ მათი სულების მოსაგონებლად. ყველა საფლავთან წითელი კვერცხი, სანთელი და პასკა იდო.

გულისხმიერება, ქართული სულია, რომ იცი, ხედავ საფლავზე შეიძლება არავინ მივიდეს. მენ, სრულიად უცნობი, ან ნაცნობი მიდიხარ და უნთებ სანთელს მიცვალებულს, აგორებ აღდგომის სიმბოლოს - წითლად შეღებილ კვერცხს და ღვინოსაც უქცევ გულზე - სულის მოსახსენიებლად.

სასაფლაოსთან როგორ ილხენთო?! ან ვინ ილხენს?! მოლხენას არ ნიშნავს, ერთი-ორი შემთხვევა. ერთი-ორი შემთხვევით როდიდან განისაზღვრება ერის რწმენა.

რა თქმა უნდა, ცოცხალთა გულებში მიცვალებულები სიცოცხლეს აგრძელებენ, მაგრამ ფიზიკურად საფლავთან მისვლა ქვეცნობიერში მაინც მძიმეა. შენთვის ძვირფასი ადამიანების საფლავთან დგომა, თხოვნა, რომ დაგვლოცონ, თითქოს ამ თხოვნითაც არ გსურს შეაწუხო. ვაი და, მყუდროება დაურღვიო, მწუხარებითა და ცრემლით, ბევრი ემოციით.

ქრისტე აღსდგა, ჭეშმარიტად! - კიდევ ერთი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული აღნიშნა ქრისტიანულმა სამყარომ, თავისი ბრწყინვალებით, იმედით, რწმენით, საუკუნოდ გაგრძელებულიყოს სიკეთის გამარჯვება.

იზა აპნისელი

კარგი ისტორიით – შენ ბანკი გეძებს!

ბანკში სესხს თუ „პატიოსნად“ იხდი, დარწმუნებული იყავი, რომ ბანკებისთვის სასურველი მომხმარებელი ხარ, მაგრამ ვაი და გადახდა დაგიგვიანდა, მაშინვე კითხვის ნიშნები გაჩნდება, რამდენად სტაბილური და კარგი მომხმარებელი ხარ და სამომავლოდ ბანკი შენზე რამდენად გააკეთებს სწორ და მომგებიან გათვლას.

თითზე ჩამოსათვლელი ოჯახები მოიძებნება, ან სულაც სანთლით საძებარია ჩვენს გარშემო, ვისაც ბანკის ვალი არ ქონდეს, წლებია იხდის ბანკის ვალებს და შემდეგ ისევ სესხის გადაფარვა ან ახალი სესხის აღება უწევს, უამრავ საყოფაცხოვრებო მიზეზთა თუ სირთულის გამო.

ჰოი საოცრებავ, კარგი მომხმარებელი ხარ და შეტყობინებას შეტყობინებაზე იღებ სესხის შემოთავაზების შესახებ თუ არაკეთილსინდისიერი გადამხდელი ხარ, ჯერ ნომერზე რეკვით შეაწუხებენ და თუ კონტაქტზე ვერ გავიდნენ

მეზობელს, მეგობარს, ნათესავს, თანამშრომელს, კოსმოსშიც კი უწყებენ დევნას.

მახსოვს, განცხადებას დიდი ოვაციებით შეხვდნენ „შავ სიაში“ მოხვედრილი ვერ გადამხდელები, და შესაბამისად, სესხები გაუნულდათ კიდეც. ისევ წრეზე წავიდნენ, ისევ ბანკებს მიმართეს, თუმცა სტატისტიკას ვინ გაგაგებინებს, რამდენად ქმედითუნარიანი გადამხდელები გახდნენ. იქნებ ისევ „შავ სიაში“ მოხვედრასა და შემდეგ სესხის განულების სამართლიანი ამბიცია აქვთ.

აბა, ჩვენ წლებია მომხმარებლები, რომლებიც ბანკში თვიდან თვემდე, საათებითა და წუთების მიხედვით ვიხდით გადასახადს არც პროცენტი შეგვმცირებია და არც შეღავათები შეგვხებია. ბანკები ისევ გვთავაზობენ სესხებს წლიური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ეფექტურობის რა გითხრათ, მაგრამ შენატანი თანხის პროცენტებით რეალურად ხვდები, ეფექტური ნამდვილადაა, თუმცა ბანკირებისათვის.

პენსიონერი, რომ ბანკიდან სესხს გამოიტანს და შემდეგ ყოველთვიურად იხდის პროცენტით, ეს კიდეც ცალკე ქვეყნის ტრაგედიაა. ამ დროს ერთი ისტორია მახსენდება, ტირილი რომ გინდება - სესხის გამოტანას აპირებდა პენსიონერი და გოგონა ეუბნება, ბებო სესხს თქვენს ასაკზე ვერ გავცემთ, რომ გარდაიცვალოთ, ვალს ვინ დაგვიფარავსო.

პენსიონერებზე ნაკლებად დებენ „ფსონებს“ დატრენინგებული თანამშრომლები, რომლებიც მონაცემებს ცენტრალურ ფილიალში აგზავნიან და ოკ. ღილაკის შემდეგ ამტკიცებენ სესხს. ანალიტიკური კვლევისა და მონაცემთა ბაზის დიდი კონტროლისა და შეჯამების შემდეგ.

თუ ოჯახის წევრი უკვე 70 წლამდეა, ბანკი მას თავდებად არ განიხილავს. ახალგაზრდა მოქალაქეებზე ბევრად მომგებიანია სესხის გაცემა.

სესხებზე პროცენტს საქართველოს ეროვნული ბანკი არეგულირებს, მაგრამ დღემდე ეს პროცენტი იმდენად მაღალია, რომ დარეგულირების რა გითხრათ, ფული როგორც მოდის, ისე არ მიდის. ძნელად მოდის და სულ მარტივად მიდის. კარგი გადამხდელისთვის ჯერ ბანკი და შემდეგ სხვა დანარჩენია.

სწორედ ბანკის „დახმარებით“ შევიძინე წლების წინ ავტომობილი და არებულ სესხს დღემდე ვიხდი. ერთიანი თანხა და იმის ფუფუნება, რომ დაგროვილი თანხით პირდაპირ შეიძინო სასურველი უძრავ-მოძრავი ქონება, იშვიათობას წარმოადგენს, საქართველოში დასაქმებული პირისთვის, თუ არ ფლობ დამატებით ბიზნესს, ხელფასი, მხოლოდ საარსებო მინიმალურ ხარჯებს ფარავს.

საზღვარგარეთ გასული მოქალაქეებიც კი, რომლებიც იქ მუშაობენ, მათთვისაც შეუძლებელია ერთიანად, უცბად შეაგროვონ თანხა და მარტივად შეიძინონ ქონება. ისინიც სწორედ ბანკებს მიმართავენ ბინის შესაძენად, მხოლოდ ერთი განსხვავებით. გამოგზავნილი თანხით მალე ფარავენ გადასახადებს და პროცენტიც შესაბამისად ნაკლებია. ამის ფუფუნება ბევრს არ აქვს და სწორედ ამიტომ უწევთ წლების მანძილზე პროცენტების გადახდა ბანკებისათვის და ბოლოს ზუსტად ის თემაა - „თხა გავყიდე, თხა ვიყიდე“. ასეა, მუშაობ ბანკისთვის და საარსებოდ. თუ ბედმა გაგიღიმა და თუ ამას ბედის გაღიმება ჰქვია, დაფარე იპოთეკით ნაყიდი ქონების თანხის ძირი და პროცენტი, მცირედ გაგიმართლებს. იმ მოსაზრებით, რომ ქირაში ფულის ხდას, ბანკისთვის გიხდია და ჭერი მაინც დაგრჩა ბოლოს, მაგრამ რა იცი, ამ 10, 15, 20 წლის განმავლობაში რა ხდება და ის თანხაც, გადახდილი პროცენტიც, ქონებაც არ დაიკარგოს. ამ მხრივ არავითარი გარანტია არ არსებობს.

უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის საიტებს თუ გადააავლებთ თვალს, აქ, შეხვდებით ქონებათა ნაწილს, რომლებსაც მეპატრონეებს ბანკი უყიდის. მიზეზი მეპატრონისგან ქონების იპოთეკით დატვირთვა და თანხის ვერ გადახდაა. დამატებით ინფორმაციაში თან უთითებენ, რომ გაეცანით პირობებს - სახლი იყიდება, მაგრამ ამ სახლში ცხოვრობს მეპატრონე. როგორი ,,სასიამოვნო” ამბავია, სახლს ბანკი ყიდის და მეპატრონე იქ ცხოვრობს. მართლა საინტერესოა, ამ სახლებს მყიდველები თუ უჩნდებათ ხოლმე. მე, რამდენადაც ვიცი, იშვიათად. მახსოვს, სანაცნობოში ბანკი, როგორ უყიდდა ბინას მეპატრონეს და თხოვნის მიუხედავად, შეემცირებინათ პროცენტი ან გადაენაწილებინათ მცირე შენატანზე თანხა, ბანკი დათმობაზე არავითარ შემთხვევაში არ წავიდა. გაიყიდა ბინა. მოგვიანებით შეთანხმება, ისევ მყიდველებთან მოხდა. ასე შეინარჩუნეს და გადაარჩინეს მამაპაპისეული სახლი გაყიდვას.

სანამ ბანკის მომხიბვლელი შეთავაზებების ეიფორიაში ბრძანდებით, კარგად დაფიქრება გმართებთ, გიღირთ კი ბანკისგან გაცემულ თანხისთვის, თითქმის იგივე თანხა გაიღოთ პროცენტად?!

იზა იანვარაშვილი

ნიჭჭან უშუალია „ფრენა» გასწავლოს

დღეს, XXI საუკუნეში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ვირტუალური ურთიერთობები. სიტყვასაც კი ფასი დაეკარგა. თუ არადა, ვითომ არაფერია, თუმცა მოდით დავფიქრდეთ და ვიმსჯელოთ თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვას, სიტყვის სწორად წარმოთქმასა და ზოგადად მის ძალას სამყაროში?

სიტყვა არა მხოლოდ ბგერების ერთობლიობაა, რომელიც ადამიანებს კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებას აძლევს, არამედ პირველ რიგში, მისი დახმარებით ყალიბდება ფიქრი, შემდეგ მას ბგერების მეშვეობით ხორცი ესხმევა და გადმოიცემა. ყოველდღიურად ადამიანი საშუალოდ 6000-მდე სიტყვას, 2000-მდე ბგერასა და 7000-მდე ჟესტს იყენებს.

ყველა თემა გარკვეულ ეტაპზე იძენს აქტუალობას და მოკლე ან ხანგრძლივი პერიოდი ინარჩუნებს მას, ხოლო სიტყვამ აქტუალობა მიიღო სამყაროს შექმნისთანავე და კაცობრიობის არსებობის ბოლომდე ასე იქნება. ამიტომაც, მას იმაზე მეტი მნიშვნელობა და ძალა აქვს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

ერთხელ მაინც დავფიქრებულვართ რა მოხდებოდა, კომუნიკაციის ამ ფორმით სარგებლობის საშუალება რომ არ გვქონოდა?! არ შეგვძლებოდა ჩვენი ფიქრების, ემოციებისა და შთაბეჭდილებების გაზიარება ერთმანეთისთვის?!

მანამ, სანამ სიტყვის განმარტებას ძალიან ღრმად და ფილოსოფიურად მივუდგებით, ყველა ერთად ვთანხმდებით, რომ ფიზიკურ ტკივილზე მტკივნეული სწორედ სიტყვაა და პირიქით, ზუსტად ერთმა სიტყვამ შეიძლება შეცვალოს სამყარო, გადაგვარჩინოს.

ვიზრდებით, ვყალიბდებით, ვვითარდებით, ვიბრძვით და ვერც კი ვაანალიზებთ რამდენი რამ გავაკეთილშობილეთ, ან პირიქით გავაფუჭეთ თუნდაც ერთი სიტყვით?

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თითეულ სიტყვას, ვინაიდან კომუნიკაციის გურუებმა ზუსტად იციან, რამხელა ცვლილებების მოტანა შეუძლია ერთ სიტყვასაც კი. ის ხომ ეფექტური კომუნიკაციის უპირველესი სანყისია.

მაგალითად, ,,Nike"-მა აიღო 3 უმარტივესი სიტყვა: "Just Do It" და საზოგადოებამდე მიიტანა ისე, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოსახლეობის უმრავლესობისთვის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ამ სამი სიტყვის კომბინაცია მხოლოდ აღნიშნულ ბრენდთან ასოცირდება.

ასე რომ, სწორად წარმოთქმულ და გააზრებულ სიტყვას არა მხოლოდ დადებითი აურისა და გარემოს შექმნა, არამედ უდიდესი წარმატების მოტანაც შეუძლია.

ყველას გაგვიგია ფრაზები:

„ძალიან კარგი ამბავი გავიგე, ეს განწყობა მთელი დღე გამყვება"

„ერთი სიტყვით შეძელი ჩემი ხასიათის გაფუჭება"

„შენმა სიტყვებმა დამაფიქრა და შემცვალა"

„მისი დაუფიქრებელი ნათქვამის გამო, ჩვენს მეგობრობაში უდიდესი ბზარი გაჩნდა" და ა.შ.

ბგერებში, სიტყვებში განხორციელებულ დადებით ენერგიას

საოცრებების „მოხდენა'' შეუძლია. გარდა იმისა, რომ უნდა ვაკონტროლოთ სხვისი მისამართით როგორ გზავნილებს ვუშვებთ, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორ „უხილავ" გარემოს ვუქმნით საკუთარ თავს. ნებისმიერ სიტყვას, დადებითსა თუ უარყოფითს, ჩვენი მომავლის ცვლილება შეუძლია.

სანამ რაიმე ფიქრს (ემოციას) „გააცოცხლებთ" და სამყაროს გაუგზავნით, ზუსტად წამის მეათასედით დაფიქრდით, რას ემსახურება თქვენი გზავნილი, მიაყენებს თუ არა ზიანს ვინმეს ან რაიმეს, როგორ იმოქმედებს ის სხვა ადამიანებზე, რა ზეგავლენა ექნება მას თქვენზე?!

სწორედ ერთ სიტყვას შეუძლია „ფრენა" გასწავლოს, საოცრებები გაკეთებინოს,შეუძლებელი შეგაძლებინოს. ამიტომ დააკვირდი შენს თავს, დაიწყე ფიქრი, აზროვნება, გააკონტროლე შენგან გამოსროლილი თითოეული ბგერა

სიტყვის უდიდესი ძალის მნიშვნელობაზე საუკეთესო მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის იგავი, ,,ენით დაკოდილი'', სადაც მწერალი გვეუბნება, რომ ცულით დაკოდილი თავიც კი გამრთელდება, ხოლო ენით დაკოდილ გულს კი არაფერი ეშველებაო. სწორედ ამიტომ გვმართებს ვაკონტროლოთ თითოეული სიტყვა, რათა ჩვენი დაუფიქრებელი ქმედებით, არასწორად წამოსროლილი სიტყვით ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს გული არ ვატკინოთ.

დიახ, ,,მეტყველება ძლიერი ინსტრუმენტია'', მაგრამ მის გამოყენებას დიდი ინტელექტი სჭირდება.",,სიტყვა ყველაზე საშიში და ძლიერი იარაღია."

,,სიტყვები ნაპერწკლებია და ენები კაჟია''. დაუდევრობის შემთხვევაში ხანძრის თავიდან აცილება შეუძლებელია. ,,სიტყვებს თავისი სული აქვს". ამიტომაც მოვუფრთხილდეთ სიტყვას!!! ხშირად მდუმარებით ვაჯობოთ საკუთარ თავს!!!

მოამზადა ნატო ველიქიძემ

რიტუალებად ქცეული დღესასწაული



ერთხელ ერთი საეკლესიო მსახურის სიტყვები მოვისმინე და სამუდამოდ დავიმახსოვრე: ქრისტიანის მთელი ცხოვრება აღდგომისთვის სამზადისიაო. მისი არსისა და დატვირთვიდან გამომდინარე, შეუძლებელია გულგრილად შეხვდე ამ დღესასწაულს. ცივი და ბნელი ზამთრის შემდეგ დგება გაზაფხული - იმედების, ახალი სიცოცხლის, გამოფხიზლების, სინათლის დრო. ზუსტად ამ პერიოდში ზეიმობს კაცობრიობა აღდგომას- ის სამყაროს ხსნის, განახლების,იმედის სიმბოლოა. დღე — სასწაული, დღე — სიკვდილზე გამარჯვების. თუმცა მანამდე მორწმუნეთათვის უმძიმესი კვირა დაიწყო — გზა გოლგოთისკენ მიმავალი. ეს ღალატისა და გაცემის, ბარაბას არჩევისა და ეკლის გვირგვინის, სასონარკვეთილების და უიმედობის,ეჭვების,-დაცინვის და აბუჩად აგდების, „ვია დოლოროსას" და ქრისტეს ჯვარცმის კვირაა. აღდგომისთვის ყველა ვემზადებით, თუმცა ოდნავ სხვადასხვაგვარად. ყველამ ვიცით აუცილებლად შესასრულებელი საადგომო ტრადიციების შესახებ, მაგრამ ხშირად „ოდითგანვე", „მამა-პაპა" და „ძველებმა უკეთ იცოდნენ" ფრაზებით გადაფარული ვერგაგებული შინაარსისგან ვცლით უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას და პრიმიტიულ რიტუალებამდე დაგვყავს, ამიტომაც აღდგომა ვისთვის საფლავზე გასასვლელი მიზეზია, ვისთვის გემრიელი, ქიშმიშით გამოტენილი პასკებისა და ნაზუქების ცხობისა და კვერცხების ღებვის კვირეული, ვისთვის დიდი მარხვის ბოლო კვირა და ვისთვის კიდევ დასვენების დღეები.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია,რომ ნომინალური ქრისტიანობითა და ნაციონალური კულტურის საკუთარ აღმსარებლობასთან შერწყმით ქრისტიანობა რიტუალებამდე დავიდა და ამიტომაცაა, რომ უამრავმა ადამიანმა აღდგომის დღესასწაული პასკასთან, კვერცხთან, საფლავების მონახულებასა და ბევრ სხვა წვრილმანთან გააიგივა. სწორედ ამიტომ არის, რომ თუ საფლავზე კვერცხის გამგორებელსა და ერთი ჭიქა ღვინის წამქცევს ტოვებ ამქვეყნად ადამიანი, შეგიძლია მშვიდად განისვენო. ნაცვლად იმისა, რომ ვეჭიდებოდეთ უფლისმიერ სიხარულს მკვდრეთით აღდგომის და საუკუნო სიცოცხლის შესახებ, საფლავზე ღვინის წამქცევი გვეიმედება, თითქოს იქ იყოს ჩვენი სამუდამო განსასვენებელი. ამიტომაცაა, რომ თავგადაკლული მორწმუნეებიც განსვენებულებს როგორც წესი მოიხსენებენ „ეჰ,-საცოდვი", „ცოცხალს ეშველება და მკვდარს აღარ" და მსგავსი გამოთქმებით ივიწყებენ ქრისტიანობის მთავარ არსს და აღდგომის სასწაულისადმი მათი რწმენა ჩალის ფასი ხდება.უფრო სწორად,ურწმუნოება.

ამიტომაც, მინდა ვხედავდე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე უფრო მეტ სათნოებითა და სიკეთით სავსე ადამიანს უფლის სახლში, ვიდრე გაუაზრებელი ტრადიციებისაგან გაჯიქებულებს სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე, სანოვაგით სავსე კალათებით და საფლავებზე ნაცნობ-მეგობრებზე დაძალებით „ლუკმა შეჭამე, მიუვა", მინდა ვხედავდე უფრო მეტი იმედითა და გულწრფელი რწმენით აღვსილ ადამიანს, ვიდრე ფეხარეულ შეზარხოშებულებს ამ წმინდა უქმეებზე, მინდა ვხედავდე ბავშვების ალალ და სუფთა თვალებს, რომელთაც ყველაზე უკეთ ძალუძთ სასწაულების დაჯერება,- და არა საფლავებზე გაგორებული კვერცხების შეგროვებითა და მათი „დაჭიდებით" გაბრუებულებს, მინდა ვხედავდე ღრმა შინაარსს ტრადიციებში, რომლებსაც სიმბოლურად უნდა ვასრულებდეთ და არა შიშით, რომ რამე თუ შეგვშლება, დავისჯებით.

ჩვენ იმდენად დიდ ყურადღებას ვაქცევთ წვრილმანებს (მაგ; მიცვალებულს საით ექნება თავი, ქალის შარვლით ყოფნა ეკლესიაში და მისთანები), რომ მთავარი უკანა მწკრივში გადადის. მაგრამ მთავარი კი მაშინაც მთავარია, თუ მას უკან ჩავწევთ. იმით, რომ ჩვენ არ ვანიჭებთ მას დიდ მნიშვნელობას, ჭეშმარიტება არ შეიცვლება და თითოეულ ჩვენგანს ოდესმე მოუწევს ამ ჭეშმარიტებასთან პირისპირ დარჩენა.

სინამდვილე კი ისაა, რომ ნომინალურ ქრისტიანობა მოვირგეთ, შინაარსზე და იდეაზე მაღლა ნეს-ჩვეულებები დავაყენეთ, დავივიწყეთ ქრისტეს გადადგმული ნაბიჯების ფასი გოლგოთისკენ მიმავალ გზაზე... ჩვენთვის ვნების კვირა დიდი ორშაბათით იწყება და ასე გრძელდება დამწკრივებული „დიდი" დღეებით, იესოსთვის კი თითოეული დღე უმძიმესი იყო, ღალატის, მეგობრებისგან მიტოვების, უსამართლობის, შეურაცხყოფის და აუტანელი ტკივილის, იმისთვის რაც არ ჩაუდენია და რაც ჩვენ ჩავიდინეთ...

მიყვარს, პატარა დაწნულ კალათაში სისხლისფრად შეღებილი კვერცხები წითლად რომ ღვივის, მიყვარს პასკის და ნაზუქის ტკბილი სურნელი, მიყვარს იმედის და სიცოცხლის სუნი გაზაფხულს რომ მოჰყვება და კვირა დღეს ყველაზე მეტად იმის გახსენება მაბედნიერებს, რომ სამარხი ცარიელია!!!

ქრისტე აღსდგა!

რუსუდან სხირტლაძე

ვიცოდეთ ბორჯომის ისტორია

სატივეზე ტივი შევკარ...!

უძველესი დროიდან მოყოლებული XX საუკუნის 40 წლებამდე ბორჯომის ხეობა წარმოუდგენელი იყო ტივის გარეშე, რომელსაც მტკვარზე არა მარტო ადამიანების გადასაყვანად და ტვირთის გადასატანად იყენებდნენ, არამედ სამდინარო ტრანსპორტის ძირითად საშუალებად ითვლებოდა.

ტივი- ერთმანეთზე ჰორიზონტალურად გადაბმული ხის მსხვილი მორები,"ძელნი

შეწყობილი წყალთა სავალად" (ს.ს.ორბელიანი) ტივები მდინარის მოძრაობის მიმართულებით მიცურავდნენ.მტკვარზე ტივების დაცურება შესაძლებელი იყო ახალციხიდან თბილისამდე და ბაქომდე ტივს ურემთან შედარებით დიდი უპირატესობა ქონდა, შესაძლებელი იყო ხარკამეჩთან შედარებით ბევრად მეტი ტვირთის სწრაფად გადატანა. ბორჯომიდან თბილისამდე ტივი 15-18 საათში ჩადიოდა.

მეტივობასთან დაკავშირებული ადამიანები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: **„ტყის კაცებად"** და **„წყლის კაცებად"**. ,,ტყის კაცებს" სატივე მორები გამოჰქონდა ტყიდან და სატივეებამდე მიჰქონდათ. ,,წყლის კაცები" კი მორებს ტივებად კრავდნენ და თბილისისკენ მიჰქონდათ

მტკვარზე მეტივეობის განვითარებას ხელს უწყობდა ხეობაში არსებული მდიდარი ტყეები. მეტივეობა ხეობის მცხოვრებთათვის ერთ-ერთი პრესტიჟული და შემოსავლიანი საქმიანობა იყო.ნამდვილი მეტივეები ძირითადად ხაშურსა და ბორჯომის რაიონების იმ სოფლებში ცხოვრობდნენ, რომლებიც მიწის სიმცირეს განიცდიდნენ და დამატებით სამუშაოს ეძებდნენ. დახელოვნებული მეტივეები ცხოვრობდნენ **ქვაბისხევში, დვირში, ჭობისხევში, ლიკანში, რველში, ყვიბისში,ზანავში, ახლადაბაში.**

სწორედ მტკვრის ხეობაში ჩამოყალიბდა ქართველი მეტივის კოლორიტული ტიპი და მას ხეობელი მეტივე ეწოდა. ,, ტყის და წყლის კაცები"იყვნენ საკირეშიც,დგვარშიც, წაღვერშიც და სხვა სოფლებში.

მდინარის სწრაფი დინების გამო, მეტივეს დიდი ოსტატობა და სიფრთხილე მართებდა, რომ ორთაყვირების საშუალებით მოხერხებულად გადაეყვანა მეტივი მდინარის კლდოვან ნაპირებთან, ფონებთან, ჭორომებთან.

დახელოვნებული მეტივე ზედმიწევნით ერკვეოდა მტკვრის ხასიათში, იცოდა მისი დინების ყველა თავისებურება. ცდილობდა, ყოველთვის თავწყალს ანუ წყლის დინების მთავარ ძარღვს გაყოლოდა, რადაგან ასე ტივი დაუბრკოლებლად მიცურავდა.

მეტავემ იცოდა სად იყო მორევი,ტრიალა თავთხელი სად შეხვდებოდა ,,ნაჩქარი" ანუ „საჩქეფი"სადაც წყალი სწრაფად მოედინებოდა. ძნელად გასავლელი ადგილები.ისინი სახელებს თვითონ არქმევდნენ. ასე მაგალითად, აწყურთან ახლოს მტკვარი მკვეთრად უხვევს, ამ ადგილს დღესაც „მოქცევს" უწოდებენ, ჭობისხევთანაა" საფიცხე" ჩარხისწყალთან," ,,საღარღანი"და ა.შ.

ცნობილია ძველი მეტივეების ჩანაწერები და მათი ნაამბობი,ლიკნელი მეტივე კოლა დათუნიშვილი,ზანაველი გორა კიკაძე, დვირელი მინა გელაშვილი იხსნებდნენ ,,საღარღანთან მტკვარი დაკრეფილი მოდის" ანუ მდინარეს დიდი სიჩქარე აქვს, ის თითქოს ღარში მოედინება, ტივი უნდა ააცდინო შუა ადგილს, თუ ტივი ღარში შევიდოდა ვეღარ გამოგყავდა.იქვე ტრიალებდა, ამ ადგილიდან სამშვიდობოს რომ გამოვიდოდნენ,იტყოდნენ „გადავიკარეთო" ანუ გადავრჩითო.ქსანთან „ძაღლიკბილს" ეძახდნენ ერთ ადგილს,ე.ი მდინარე სწრაფად მოედინებოდა, კლდე კბილებივით იყო გამოშვერილი, და საშიში ადგილი იყო.დიდი სიფრთხილე გვმართებდა კლდეს არ დავჯახებოდით. ძეგვთან ერთ ადგილს „კაციჭამია" ერქვა. ტივი კლდის ქვეშ ძვრებოდა მეტივეები კი წყალში ხტებოდნენ რომ არ დაღუპულიყვნენ. როცა მტკვარი ადიდებული იყო.მაშინ მეტივეები ამბობდნენ მდინარე ,,ონავრობსო".მაშინ თბილისამდე ორ დღეში ჩადიოდნენ.

XIX-XX საუკუნეებმა შემოგვინახა ცნობილი მეტივეების გვარები. მათ შორის არიან ლიკნელები, კოლა დათუნიშვილი მიხა გელაშვილი (ტელეპია), ვასო გელაშვილი(ჯიჯინა). დვირელები გ. პაპიძე.მ კუჭუხიძე,ა.ჯავახიძე,ს.ბიბილური (ჩაჩა), პავლე ჩიტაშვილი(ფორთხა) ვ.ნანეტაშვილი,ზანაველი გორა კიკაძე,ნ.ლომსაძე,ი.მაისურაძე, წაღვრელი რ.ღონღაძე ბერისაყდრელი როსტომ ლომიძე და მრავალი სხვაც.

,,ტყის კაცები" ტყეში მუშაობით იყვენ დაკავებულნი,ისინი სპეციალურად არჩევდნენ მოსაჭრელ ხეს.მორებად ჭრიდნენ და სატივე ადგილებამდე მიჰქონდათ.,,ტყის კაცების" ჯგუფში 3-4 ხის მჭრელი იყო გაერთიანებული.

,,წყლის კაცები" სატივე მორებს ყიდულობდნენ,სათითაოდ წყალში ყრიდნენ და მორების ნაცხვირში წნელს ამოუჭედავდნენ და წინასწარგამამზადებულ „ულელზე" დაამაგრებდნენ.

ერთ ტივში ათი მორი შედიოდა.შუა მორს „დედა ხეს" უწოდებდნენ, რომელსაც ბურღავდნენ, სადაც ,,ჭოროკინს" ჩაარსობდნენ. შემდეგ მასზე 12 არშინის სიგრძის ორთაყვირს ამაგრებდნენ,რომელიც ტივის სამართავად იყო გამოყენებული.ხშირად ორ ტივს ერთმანეთს გადააბავდნენ და ისე აცურებდნენ.

,,წყლის კაცები" დასაცურებელ ტივს „სატივეზე" აბამდნენ და ემზადებოდნენ გამგზავრებისათვის. იცვამდნენ წინდებში ჩატანებულ განიერ შარვლებს, თავზე ნაბადის ქუდს იხურავდნენ, ფეხზე ჩუსტები ან ქალამნები ეცვათ. თან მიქონდათ საგზალი.(პური, ყველი,მოხარშული ხორცი და ცოტა არაყი).

ტივს მეწინავე და მებოლოვე მეტივე მართავდა.ძირითადი ჯაფა მეწინავეს აწვებოდა. ისინი წლების მანძილზე სწავლობდნენ ტივის მართვას.

ვალერიან ლომიძე

(გაგრძელება იქნება)

გილოცავთ!
რ"უსო ბოდიანა და ნიკა ჯეჯელიშვილს ბაბედნიერებას

ჩვენო ძვირფასებო!

რუსო და ნიკა გილოცავთ გაბედნიერებას.

თქვენი სიყვარულის ამ ბრწყინვალე დღეს, რომელიც უფლის უდიდეს სიხარულს, აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულს დაემთხვა. მჯერა, აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულში დაწყებული თქვენი ერთობლივი გზა ისეთივე ნათელი და იმედით სავსე იქნება, როგორც ეს წმინდა დღეებია, ნეტარება და დიდი ბედნიერებაა, რომ თქვენი ოჯახი ბუდეს სწორედ ამ სიხარულით სავსე პერიოდში იკეთებს, მაშინ როცა სიცოცხლემ სიკვდილს სძლია და სიყვარულმა იზეიმა. დაე, თქვენ ახლადშექმნილ ბუდესაც აღდგომის ნათელი ყოველთვის ანათებდეს. თქვენი სიყვარული ყოველთვის სუფთა, გულწრფელი და შეურყეველი იქნება. შეგექმნათ მყარი და ძლიერი ოჯახი.

სიყვარულით თქვენი **ნიკალა პაპა და ანელა ბაბო!**

„აღდგა" თუ „აღსდგა"?

ყოველ აღდგომას, როგორც წესი, თითქმის მუდამ ახლავს პოლემიკა თუ რომელი ფორმულირებაა სწორი - „აღდგა" თუ „აღსდგა". რადგან ეს თემა კვლავ აქტუალურია, თავს ნებას ვაძლევთ, შემოგთავაზოთ ეს განმარტება და, შეძლებისდაგვარად, წერტილი დავუსვათ კამათს.

„აღდგა" ერთპირიანი და მესამე სუბიექტური პირის ზმნაა. ცხადზე ცხადია, რომ მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი „ს" მასთან არ უნდა იყოს, რადგან მას ირიბი ობიექტი საერთოდ არ ეწყობა. მაგრამ აქ სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, თვითონ ქრისტეს აღდგომა სასწაულებრივ მოვლენას გულისხმობს - ყველანაირი მოვლენისა თუ ფაქტისაგან სრულიად განსხვავებულს, ამიტომ ვითომ რატომ არ უნდა გამოირჩეს დანარჩენი „აღდგომისა" თუ „ადგომისაგან?" სულ უბრალო მაგალითის მოყვანაც საკმარისია, რომ დაგარწმუნოთ ამის ჭეშმარიტებაში. ვთქვათ, რაღაც ხუხულა იდგა, ქარმა დაანგრია და შემდეგ მეპატრონემ აღადგინა (შემინდე, უფალო, თუ უხერხულ შედარებას ვაკეთებ). გასაგებია, რომ ხუხულა აღდგა. ამ კონტექსტის შემდეგ შეიძლება იმ სასწაულ მოვლენაზეც იგივე სიზუსტით ვისარგებლოთ ფონემების რიგითობით და ვთქვათ ქრისტე აღდგა? არამც და არამც! მეტიც, მკრეხელობაც კი გვგონია ასეთი გამოთქმა. დიახ, გრამატიკული კატეგორიები შორს უნდა დავიჭიროთ ამ მოვლენის „აღსაწერად", რადგან ამ შემთხვევაში, მთავარი გრამატიკულად მისაღები კი არა, გულისთვის და სულისთვის მისაღები ფორმა უნდა ავახმიანოთ - აღსდგა.

მე არ მინდა, მკითხველს თავი შევაწყინო ლინგვისტური წიაღსვლებით და ძალიან მოკლედ ვიტყვი: ლინგვისტიკაში არსებობს ცნება უზუსი, რაც, ერთგვარად, სალიტერატურო ნორმებთან დაპირისპირებას გულისხმობს. სულ უბრალო მაგალითი: ოფიციალური წერილისას, თუ პიროვნებას მივმართავთ და წერილს ამ მიმართვით ვიწყებთ (მაგალითად, ბატონო გიორგი), გრამატიკულად აუცილებელია მიმართვის ბოლოს ძახილის ნიშანს არავინ ხმარობს, მის ნაცვლად გამოიყენება სასვენი ნიშანი მძიმე (რაც, რა თქმა უნდა, გრამატიკული კაზუსია). ეს იმიტომ, რომ ძახილის ნიშანი, ერთგვარად ბრძანების ფორმას ძენს ამ მიმართვას, მძიმე კი არბილებს მას და მასში პატივისცემა უფრო იკითხება.

ესეც არ იყოს, „ს"-ს შემოტანით (ანუ ირიბი ობიექტის „გამოჩენით") ჩვენ უფრო სამპირიანობის განცდას ვეუფლებით, ანუ შემოგვაქვს ჰიპოსტოსი წმინდა სამების სახით.

დიახ, თამამად ვთქვათ „აღსდგა", რადგან ამ ზმნაში მოკრძალებაც, რიდიც და მოწიწებაც უფრო ნათლად ჩანს უფლისადმი.

ასე, რომ ქრისტე აღსდგა, მეგობრებო!

გოგი გოგოლაძე

პოეზიის კუთხე
პატივისცემით და მადლიერებით!!!

კაცს რომ სევდა დარდი აღრჩობს
და ნაღველი გულის სარქველს იყოლებს,
საიდანღაც,მაინც იმედი ბრუნდება
და უფალი რწმენის სარკმელს უყოლებს.
სიკეთე კი მოყვასისგან გულს გვიხარებს,
რომ ცხოვრებამ აზრი აღარ დაკარგოს,
ვიღაც გვერდში დაგიდგება, იმას ცდილობს,
შენთვის მადლი უანგაროდ გაიღოს.
რომ არ ველი და უფალი გამახარებს,
ვფიქრობ, თქვენთვის არ იქნება გასაკვირი,
გული გრძნობით, სიხარულით მევსება და
მერე ჩემთვის ჩუმად, უხმოდ, ცრემლით ვტირი.
უფალმა კი თქვენი საქმით გამახარა,
ჩემს ოცნებას რწმენის ფრთები შეაბა,
სიხარულის ცრემლით სახე დამინამა
და მალამოდ, მადლი წამლად მეამა.
ყოველ დილით, წრფელი გულით დაგლოცავთ და
უფალს შევთხოვ, რწმენა არ დამიკარგოს
წინსვლა მოგცეთ და სურვილი მადლი თესოთ,
საშუალება არასდროს დაგეკარგოთ.
ჯანმრთელმა და ბედნიერმა გაიხარეთ,
საწყენი არ შეგხვედროდეთ მცირე დოზით,
უფლის ძალით დაგელოცოთ ოჯახ-ფუძე,
ბორჯომელო, ვახტანგ კაპანაძევ!

იზო სარქისიანი.10.04.2025 წ.

ეს უნდა ვიცოდეთ!!!



იცოდით რომ... გოლგოთის მიწა, რომელიც ქრისტეს სისხლითაა გაჟღენთილი , დღეს გერმანიაში ინახება?

გოლგოთიდან დაწყებული გზა – ალპებისკენ მიდის...

გერმანიის პატარა ქალაქში, ბაროკოს დიდებულ ბაზილიკაში, ინახება ის, რაც თავად ჯვარცმისას ლონგინოზის თვალში მოხვდა – იესო ქრისტეს სისხლის წვეთი.

როგორც სახარებიდან ვიცით,

ჯვარცმის მომენტში, რომაელმა ასისთავმა ლონგინოზმა შუბით განგმირა იესოს გვერდი, და იმ წამს, როგორც იოანე წერს –

„მაშინვე გადმოვიდა სისხლი და წყალი" (იოანე 19:34).

ერთი წვეთი ლონგინოზის დაბრმავებულ თვალში მოხვდა და სწორედ ეს იქცა მის გადარჩენად...

ის, ვინც ფიზიკურად ხედავდა, პირველად სულიერადაც დაინახა...

და მოექცა.

იცოდით რომ...

ლონგინოზმა გოლგოთის მიწა შეაგროვა – გულთან ახლოს ატარებდა მთელი ცხოვრება.

ეს სისხლი გახდა მისი რწმენის, სიმამაცისა და მოწამეობის გზა...

იცოდით რომ...

საუკუნეების შემდეგ, ეს მიწა კონსტანტინოპოლიდან დასავლეთ ევროპაში მოხვდა და საბოლოოდ 1090 წელს ვაინგარტენის ბენედიქტურ მონასტერს გადაეცა?

დღეს ამ ადგილას აშენებულია შთამბეჭდავი ბაზილიკა –

Heilig-Blut-Basilika — წმინდა სისხლის ბაზილიკა, სადაც ინახება ვერცხლის კიოტში მოთავსებული მთის ბროლი,

შიგნით კი მიწა, რომელიც ქრისტეს სისხლითაა გაჟღენთილი...

რატომ უნდა ნახო?

რომ გაიაზრო —

ქრისტეს სისხლი მხოლოდ წარსული მოვლენა არ არის.

ეს ახალი აღთქმაა, რომელიც დღესაც ცოცხალია.

სისხლი – ეს არის რწმენის უძველესი ენა, სიცოცხლის წყარო,

რომელმაც კაცობრიობა გადაარჩინა...

და დღეს – შეგიძლია შეეხო ამ წვეთს თავად.

მიწა რომელიც მაცხოვრის სისხლით არის გაჟღენთილი ასევე ინახება ზემო სვანეთში კერძოდ კალაში კვირიკესა და ივლიტეს ტაძარში.

აღდგომა ერს აერთიანებს!

აღდგომა ის დღესასწაულია, როდესაც ყველა მშობლიური კუთხისაკენ მიიჩქარის, სადაც მიცვალებულთა საფლავები ეგულებათ. თუმცა, მიცვალებულთა საფლავზე გასვლამდე მთელი რიგი სამზადისი მიმდინარეობს. წითლად შეღებილ კვერცხთან და ხატის პურთან ერთად ქართული სუფრისთვის განუყოფელი სხვადასხვა დასახელების კერძები თითქმის ყველა ოჯახში მზადდება. მოკლედ, ვისაც რისი საშუალება აქვს, თავს და ფინანსებს არ ზოგავს, რომ პატივი მიაგოს საკუთარ მიცვალებულს. სამწუხაროდ, წლევანდელ აღდგომას პროდუქტიც და ბოსტნეულიც საკმაოდ ძვირი იყო , რასაც მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა. თუმცა, როგორც წეს-ჩვეულება ავალდებულებთ, მცირედი მაინც შეიძინეს და საკუთარ მიცვალებულთა საფლავებზე ისე მივიდნენ. ბორჯომში მდებარე ყველა სასაფლაოზე ხალხმრავლობა იგრძნობოდა. ყველამ ღირსეული პატივი მიაგო საკუთარ მიცვალებულს. -ქრისტე აღსდგა! -ჭეშმარიტად აღსდგა! ისმოდა ყველა კუთხიდან. აღდგომა სააქაო და საიქიო ცხოვრების მყარი კავშირია, რომელიც მეტად გვაფიქრებს წუთისოფლის ამაოებაზე და უფრო მეტად გვიბიძგებს მიმტევებლობისაკენ. რამდენი ადამიანის ისტორიას, პირად ცხოვრებას იტევს თითოეული საფლავი. რაოდენ საბრალონი არიან ის მიცვალებულები, ვისაც მომკითხველი აღარ დარჩათ. აკი ნათქვამია კიდეც, ადამიანი მაშინ კვდება, გამხსენებელი რომ აღარ რჩებაო. უფალმა ნათელში ამყოფოს ყველა გარდაცვლილი.

ნატო მელიქიძე

მოკლეს მეცნიერი, რომელმაც ჯვარი ფიზიკურად შეისწავლა



რუსმა მეცნიერებმა კვანტური ფიზიკის პოზიციებიდან შეისწავლეს ჯვარი და გამოგნებელ დასკვნამდე მივიდნენ. მათმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა შიპუნოვმა ამ შედეგების შესახებ საქვეყნოდ განაცხადა. მალე შიპუნოვი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

აი, რა აღიარა მეცნიერმა: „ჩვენი ცდებით დამტკიცდა, რომ ჯვარი ერთადერთი მექანიზმია მთელს პლანეტაზე, რომელიც დამუხტულ ნაწილაკებს წარმოქმნის, ანუ ჩვენი სიცოცხლისთვის უზრუნველყოფს ელექტრულ კვებას, რომლის გარეშეც არც ერთ ცოცხალ უჯრედს არ შეუძლია არსებობა. ყველაზე საინტერესო, აი, რა არის — ჯვრის იმ კუთხეში, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთებიან, ჩვენს ბიოსფეროში მთელი სამყაროდან შემოსული ენერგია ჰორიზონტალურ ნაკადად წარმოიქმნება და ჯვრის სწორედ ეს ადგილი მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ, მილიარდობით დამუხტულ ნაწილაკს გადმოაფრქვევს. ნაწილაკები გამოიფრქვევა კონებად.. ხოლო დიდ დღესასწაულებსა და ღვთისმსახურების დროს ჯვრიდან გვირგვინისებური გამოსხივება შეინიშნება. მერე ჯვრის ვერტიკალური შემადგენლიდან ეს ენერგია ტაძრის სივრცეში ხვდება და იქ ელექტრული ენერგიის უზარმაზარ პოტენციალს ქმნის. ამიტომაც ტაძარი, თანამედროვე კვანტური მექანიკის თვალსაზრისით, ენერგიის უზარმაზარ გამომსხივებელს წარმოადგენს. ეს გამოსხივება უზარმაზარ მანძილზე ვრცელდება და, ფაქტიურად, თავის გარშემო არსებული სივრცის მთელ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურას გარდაქმნის. ამას შემდეგ უზარმაზარი ძალის უფრო ფაქიზი ველების გარდაქმნაც მოსდევს, ანუ ტაძრის გარშემო სივრცე მთლიანად იცვლება. ჯვრები თვით მიტოვებულ ტაძრებშიც კი გამოასხივებენ ენერგიას. ყველა ჯვარი სხვადასხვა ხარისხისას გამოასხივებს. ყველაზე ძლიერად ოქროსი, ლითონის — შედარებით ნაკლებად გამოასხივებს ხის ჯვარიც. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჯვრის ვერტიკალური ნაწილი კოსმოსურ რადიაციას ღებულობს, ჰორიზონტალური ნაწილი კი მას დედამიწის ზედაპირზე გადაასხივებს. ჯვარი წარმოადგენს ელექტრული მუხტების ყველაზე ძლიერი გამოსხივებელს და, სხვათა შორის, მაცოცხლებელი მუხტებისას, რომელთა რაოდენობა დედამიწაზე არა კმარა. ეს წმინდა ფიზიკური მოვლენაა. ჯვარი — ესაა დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა. მეორე ასეთი არ არსებობს ბუნებაში".

სეზონის დახურვა

აპრილს დასაწყისში გუდაურმა საქართველოს სამთო-სათხილამურო ჩემპიონატს უმასპინძლა. პირველ დღეს შეჯიბრი უამინდობის გამო გადაიდო, მომდევნო დღეს კი შეჯიბრი წარმატებით გაიმართა. გუდაურის, ბაკურიანის, მესტიის, აჭარისა და თბილისის გუნდების წევრებმა სამ ასაკობრივ კატეგორიაში იასპარეზეს. საქართველოს ჩემპიონატში იმ სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებმაც ზამთრის სეზონზე, საქართველოს თასის რეგიონულ ეტაპებზე მაღალრეიტინგული ქულები დააგროვეს. 2025 წლის საქართველოს სამთო-სათხილამური ჩემპიონატში ბაკურიანელებმა სლალომში საპრიზო ადგილები დაიკავეს 2011-2012 წლებში დაბადებულთა შორის.

გოგონები:

ანანო სანაკოევმა- პირველი ადგილი, **თეკლა ვიბლიანმა** - მეორე ადგილი დაიკავეს.

2009-2010 წლებში დაბადებულებს შორის.

გოგონებში:

ნინო გეორქოვმა - პირველი ადგილი, **ანასტასია ვიბლიანმა**- მესამე ადგილი დაიკავეს.

2008 წელს და უფროსი ასაკში:

გოგონებში:

ნელი უსტიმენკო - მეორე ადგილი.

გოგონათა შორის საუკეთესო დრო ბაკურიანელმა **ნინო გეორქოვმა** აჩვენა, ვაჟთა შორის კი გუდაურის გუნდის წევრმა **ლუკა ბუჩუკურმა**. საქართველოს ჩემპიონატი სათხილამურო ფედერაციის და M.T.A („ემ თი ეი") -ს თანაორგანიზებით და ,,სილქნეტის" ტრადიციული მხარდაჭერით იმართება. კომპანია, როგორც ფედერაციის გენერალური სპონსორი, დაარსების დღიდან უწყვეტად უჭერს მხარს სათხილამურო სპორტის განვითარებას საქართველოში.

ჩემპიონატს წელს, როგორც თანაპარტნიორი სასტუმრო "მარკო პოლო გუდაური" შემოუერთდა

ამით დასრულდა 2024-2025 წლების ზამთრის სეზონი.

რუსუდან სხირტლაძე

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე